ეროვნული ბიბლიოთეკა

# წმინდა ილია მართლის საზოგადოების

## სამხედრო საქმეთა კომისიის საინფორმაციო

# ბიულეტენი

№ 2

1989 წ.

მერაბ კოსტავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომაა საჭირო ნაციონალური არმია

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი საბჭოთა ხალხების დისკრიმინაციისა გახლავთ ის, რომ მათ არ გააჩნიათ ნაციონალური არმია. არსებული არმია უპირველესად რუსულია, რადგან რუსულ ენაზე ფუნქციონირებს და იწვევს მის შემადგენლობაში მყოფი არარუსი ხალხების წარმომადგენელთა დეგრადაციასა და დენაციონალიზაციას. არმია სახელმწიფოებრივი ერთეულების განუყოფელი, ორგანული ნაწილია და მოწოდებულია დაიცვას მშობლიური მიწისა და საკუთარი ხალხის ღირსება. მოქალაქის საუკეთესო თვისებები, პატრიოტული მოვალეობის აღზრდა წარმოუდგენელია ნაციონალური არმიის გარეშე. მაგრამ საუბედუროდ საბჭოთა კავშირის შემავალი ერთეულები მოკლებული არიან ამგვარ შესაძლებლობას. ამიტომ გასაკვირი როდია არარუსთათვის საბჭოთა არმიაში სამსახური ერთობ მძიმე ტვირთი რომ წარმოადგენს. თუკი რუსი მამაკაცი, არმიაში სამსახურის გარეშე თავს არასრულფასოვნად მიიჩნევს, ხოლო რუსი ქალიშვილები ცდილობენ მხოლოდ ჯარისკაცებს აჰყვნენ, ასე როდია სხვა ერთეულების შვილთა ცხოვრებაში. მაგალითად ქართველ ვაჟებს, თითქმის გამონაკლისის გარეშე, ვერის დღესავით სძაგს არმიაში სამსახური და მის მშობლებსაც არაფერს მოაგვრენ, როგორც დაიხსნან იგი ამგვარი უსიამოვნებებისაგან. იგივე შეიძლება ითქვას სხვა ერთეულთა წარმომადგენლებზე. არა, ვაჟკაცობა და შეუპოვრობა მათ არ აკლიათ, მაგრამ ცნობიერად, თუ ქვეცნობიერად შეგნებულად, როგორც ვაჟკაცმა, ასევე მშობელმა უწყის: სწორედ ეს არმიაა იმპერიის არსებობისა და მათი დამონებული მდგომარეობის განმამტკიცებელი-გამახანგრძლივებელი-ხოლო შეგნებული შოვინისტი რუსისათვის, როგორც იმპერიის გამარჯვებული შვილისთვის ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ჯარისკაცობის და ამგვარი არმიის თავის მოწონება. ხელისუფლებას ას თი არმია ხალხების დაახლოებისა და ურთიერთშერწყმის აპარატად მიაჩნია. სინამდვილეში იგი მხოლოდ ხალხების "მეგობრობას" უწყობს ხელს, რაც მათი უსახო ნაცრისფერ მასად გადაქცევას ნიშნავს. არცაა გასაკვირი, რომ ამგვარ არმიაში შეგნების დაბალი დონე ისადგურებს. ერთგვარობებზე(?) "მოხუცთა" მიერ ახალწვეულთა საყოველთაოდ ცნობილი დისკრიმინაციის გარდა იქ აშკარად შეინიშნება ეთნიკური ნიშნით მოწამლული ერთეულებსშორისი ზიზღი. ბოლო ხანებში საბჭოთა არმიის რიგებში განსაკუთრებით გახშირდა არარუსი ჯარისკაცების აშკარად აგდება და ჩაგვრა, მათ წინამარ(?) პატივსახებში(?) სხვადასხვაგვარი ნაგვების გადმოყრა, ზოგჯერ სიკვდილით რომ მთავრდება. ამა წლის აპრილში საბჭოთა არმიაში საყოველთაოდ ცნობილი ნიშნებით "ლისტოჩკით", მოკლულ იქნა მოსკოვის ოლქის 528/8 ნაწილის ჯარისკაცი, ზესტაფონელი მამუკა არაბული. სხვადასხვა ცნობებით ამავე წელს მოკლულ იქნენ აგრეთვე ჯარისკაცები: გიამ თენგიზის ძე წკიპიშვილი, მამუკა კოსტას ძე იმედაძე, ხვიჩა გიგოს ძე თოდრიშვილი.

მიმდინარე წლის 4 თვის განმავლობაში, როგორც მამუკა არაბულის მამის ირაკლის მოადგილეობისადმი გაგზავნილ განცხადებაში ვკითხულობთ, ქ.თბილისის ცენტრის ფუნქციონერის(?) პერსონალის მიერ ფიქსირებულია საბჭოთა არმიის სხვადასხვა ნაწილებში მომსახურე ჯარისკაცთა მკვლელობის 28 შემთხვევა. იგივე წყარო გვამცნობს, რომ "ლისტოჩკით" სხვადასხვა დროს უწამებიათ ჩვენი სათვლი(?), ქართველი მოკლულები(?), სომეხი მეგობარი(?). არარუსთა შეურაცხყოფის და ნაგვების ამაზრზენ ფაქტებს მრავალი ჯარისკაცის დასტურებს, მაშინ როდესაც მსგავსი მეთოდებით რუსი ჯარისკაცების ნაგვების შესახებ თითქმის არაფერი ვიცით. ასეთი და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მოთხოვნას ქართველი ახალგაზრდობის მიერ სამხედრო სამსახურის საქართველოში გავლის შესახებ. ერთიანი რუსულენოვანი არმია ისე ვით ერთპარტიულობა, ანუ არდაშვება ოპოზიციისა, ამასთან მაავერსიის(?), სახელმწიფო აპარატისადმი პარტიისადმი, ცენტრალური კომიტეტისადმი დაქვემდებარება პირწავარდნილი ტოტალიტარიზმის საფუძველს წარმოადგენს და ერთი კაცის, გორბაჩოვის მცდელობანი, განახორციელოს რეალიზაცია მართვლობითი სისტემის საფუძვლიანი შეცვლის გარეშე, არავითარ სამომავლო გარანტიას არ იძლევა. ტოტალიტარიზმის დამცველ განსაკუთრებით საბჭოთა არმიაა აღჭურვილი, რადგან პირსისხლიანობისაც(?) კი, სიმამაცისათვის საომარ ოპერაციებში მონაწილეობას რომ ავალდებულებენ ქართველებს, არასდროს მისვლიათ თავში საქართველოს სამეფოს გაუქმების, ქართული მხედრობის მოშლილი ჯარის აღრევა და გადაქცევა. ნაციონალური არმია ერთ დამოუკიდებლობის უმთავრესი ციხე-სიმაგრეა და ამ თვალსაზრისით ვერც ვარშავის პაქტის ერები ახლოსაც ვერ მოვლენ ნატოს ქვეყნებთან. "ნატოს" ხალხებისა და არმიების უფლებები აშკარად აღმატებულია. მაგალითისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარანტირებულია საზღვრო და ეკონომიური კავშირიდან გასვლის თავისუფლება და მათთვის რომელიმე იდეოლოგიის,ან ენის, გარედან თავსმოხვევას აქვს ადგილი. ვარშავის პაქტის ქვეყნებს თუმცა გააჩნიათ ეროვნული არმიები,მაგრამ ყოველი მცდელობა რომელიმე მათგანის კავშირიდან გასვლის მკაცრ სისხლიანი ტრაგედიით დაგვირგვინდებოდა. რუსის ჩექმა თავსმოხვეული მარქსისტული იდეოლოგიიდან გამოთავისუფლების საშუალებასაც არ აძლევს მათ. სსრკ-ში შემავალ ხალხებს კი როგორც აღვნიშნეთ არათუ არმია საკუთარ საზღვრო ნაწილებიც არ მოეძევებათ. ზემოაღნიშნულის შემდეგ თვალსაჩინო ხდება კარდინალური განსხვავება აშშ-სა და სსრკ-ს შორის. პარტნიორ ქვეყნებისადმი დამოკიდებულებაში პოტენციალური უპირატესობის მიუხედავად აშშ უდავოდ თანასწორუფლებიანი პარტნიორია "ნატოს" დანარჩენი ქვეყნებისა. იგი ცდილობს თითოეულმა მისმა მოკავშირემ რაც შეიძლება მეტი თანხა გაიღოს საკუთარი ეროვნული არმიის გასაძლიერებლად, მაშინ, როდესაც თბილისში მომხდარი 1956 წლის 9 მარტის სისხლიანი ტრაგედიის შემდეგ, სსრკ-ში სავსებით გააუქმეს თითო-ოროლად შემორჩენილი ეროვნული ჯარის ნაწილები და მისი ოფიცრობა თადარიგში დაითხოვეს. ვერც პრეზიდენტი ,ვერც ნებისმიერი სამთავრობო კაბინეტი ვერ იძლევა ერთი სახელმწიფოებრიობის იმგვარ გარანტიას,როგორც ძლიერი ნაციონალური არმია. ასე რომ შეერთებული შტატები,პარტნიორთა საზღვრო პოტენციალის გაზრდით განაძლიერებს და განამტკიცებს ამ ერების სახელმწიფოებრივობას,ხოლო საბჭოთა კავშირმა,პირიქით, იმიტომ მოსპო ჯარის უკანასკნელი ეროვნული შენაერთები,რათა ამ ხალხებში სამომავლოდ მოესპო სახელმწიფოებრიობის ნებისმიერი ელემენტი, გადაშენების გზაზე დაეყენებინა სსრკ-ში შემავალი ერები, რითაც დაამტკიცა,რომ მსოფლიოში ერთადერთ იმპერიად რჩება.

ამგვარია,რუსეთის ზიზღი საქართველოსა და ეგრეთწოდებული რესპუბლიკების მიმართ. აშკარად ვხედავთ,თუ რატომ უგულვებელყოფს იგი ერთა სუვერენულობის ამ უცილობელ ატრიბუტს,ნაციონალურ არმიას. იმპერიის მესვეურებმა უწყიან, რომ საქართველოში ქართული ჯარის ნაწილების ჩამოყალიბება და მათში ქართული ენის ფუნქციონირება აშკარად დაანახებს ქართველობას,თუ რა უფლები და ორგანულია კავშირი სამშობლოს ჭეშმარიტ დაცვასა და ეროვნულ არმიას შორის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამგვარ კავშირს ჯანსაღი ფსიქიკის ჩამოყალიბებისთვის. მხოლოდ ასე თუ ამოიძირკვება ქართველების შეგნებიდან ღირსების შემლახველი აზრი:რომ თითქოს საქართველოს ურუსეთოდ,ანუ დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია. დიახაც შეუძლია და ვერც სპარსეთი და თურქეთი დააკლებს რამეს,თუკი საკუთარი ძალებისადმი რწმენა დამკვიდრდება ქართველთა გულებში. ამგვარი რწმენის დამკვიდრება კი სხვა ფაქტორებთან ერთად ეროვნული არმიისათვის ზრუნვით უნდა დაიწყოს. ქართველებმა სამხედრო სამსახური საქართველოში უნდა გაიარონ. ამით და აქედანვე უნდა ჩაეყაროს საფუძველი ეროვნული არმიის შექმნას, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის საიმედო დარაჯის. საქართველო ქართველების საკუთრებაა და სახელმწიფოებრივ უფლებების განმტკიცებით ეროვნული მეობის განმტკიცება, თვით დამკვიდრებისა და პარტნიორ სახელმწიფოებთან გულწრფელი დამოკიდებულების ერთადერთ საწინდრად მიგვაჩნია. მხოლოდ ეროვნული არმიებით თვითდამკვიდრებულ პარტნიორ სახელმწიფოებს შორის შეიძლება ნაღდი, უმწიკვლო მეგობრობა. სხვაგვარად შეუძლებელია საკუთარ ფეხზე საკუთარი თავის პატრონ-პატრონობა და ყოველმხრივი მასპინძლობა. თავისთავად დავით აღმაშენებლის ერთიანი საქართველოს სიძლიერეც სხვა ფაქტორებთან ერთად მონასპების შექმნამაც დაადასტურა. მორიგე ჯარის შექმნისათვის ამაოდ როდი იბრძოდა ერეკლე II და სწორედ ამ იდეის ვერ განხორციელებამ ითამაშა ერთ-ერთი უმთავრესი როლი საქართველოს სამეფოს გაუქმებაში. სხვა რა არის ის რა,ქუდზე კაცის დაძახება გამუდმებით უხდებოდა მთელი ისტორიის მანძილზე ქართველ სარდლობას, მამაცად დაუჯერებელი დამარცხებით იწრთობოდა ერი,როცა კი ამ სამართალდაცლილი მშვიდობის სიმოკლენი ,შეიარაღება და ლოდინი დააძაბუნა თვითონაც დუშმანის თავზე რისხვის დამთხეველი ქართველი მამაკაცი. მას ახლაც აკლია სულისა და სხეულის წრთობისთვის აუცილებელი-ეროვნული არმია.

ეროვნული არმიაში,ათეულისა სულის თითოეული წევრი უფრო იგრძნობს განსაცდელისას ურთიერთის სიცოცხლისათვის უზარმაზარ პასუხისმგებლობას და ამგვარ შემთხვევაში კაცი ღმერთს ევედრება და არა საკუთარ თავს. ასეთი თმა, ჰერაკლიტეს ცნობილი თქმისა არ იყოს, "ყველაფრის ღმერთია". ამგვარ არმიაში ერთიანად შეთვისება სიკვდილი საყვარელებულო, იქნებ ის ყოველთვის განწირულ საბჭოთა არმიაში რომ სუფევს. დამპყრობლურ არმიათა საპირისპიროდ ასეთია სამ-

ნოშლის ანგლოელთა არმიის მორალური უპირატესობა.

. ფერითიშვილის შემდეგ ერთდერთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ: რუსეთის არმია-ცნიერობას ვერ ვიპოვნებთ, სანამ სსრკ-ის შემადგენლობაში ნაციონალური ერთეული ერიების შექმნის უფლებას არ მისცემს. მანამდე იგი აუცილებლად დამ-პყრობილის როლში დაგვსახავს. ხოლო ქართველ მშობლებს მოვუწოდებთ დროებით არი-ყუროთ და იშრომონ, რათა მათმა შვილებმა სამხედრო სამსახური საქართველოში გაიარონ, ამასთან, ეროვნულ არმიაში, რადგან არსებულ პირობებში არმიაში სამსა-ხურს ისევ ციხეში ჯდომა სჯობია.

1988 წლის 10 აგვისტო.

## მიმართვა ქართველი ახალგაზრდებისადმი

ოკუპანტთა ჯარებში სამსახური პიროვნების უდიდეს დამცირებასა და მისი ეროვნული ღირსების შელახვას წარმოადგენს. ქართველი ადამიანისათვის ყოვლად მიუღებელი უნდა იყოს საბჭოთა არმიაში სამსახური, იმ არმიაში, რომელმაც არაერთი ბოროტმოქმედება ჩაიდინა საქართველოს მიმართ, რომელმაც 1921 წელს სისხლში ჩაახშო ჩვენი ერის თავისუფლება, რომელმაც განახორციელა ცხრა აპრი-ლის გენოციდი და რომლის ძალითაც და მუქარითაც საქართველო საონლარვა წლის განმავლობაში იმყოფება რუსეთის კომუნისტური იმპერიის მორჩილებაში. მოდის პერიოდი ჩვენი ახალგაზრდების მორიგი იძულებითი გაწვევისა ოკუპანტთა ჯა-რებში და დღეს, როდესაც ერთიანად გამოიღვიძა ჩვენმა ეროვნულმა შეგნებამ, საჭიროა ქართველმა ახალგაზრდამ კარგად შეაფასოს, თუ რას ნიშნავს საბჭოთა სამხედრო ფორმის ჩაცმა და სათანადო გადაწყვეტილებაც მიიღოს. უარისთქმა საბჭოთა არმიაში სამსახურზე, რაც, ცხადია, საკმაო რისკთანაა დაკავშირე-ბული, ჭეშმარიტად გიგანტური ღვაწლის დადებაა საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეში. ეს ღვაწლი სამუდამოდ ჩაიწერება ჩვენი ერის მეხსიერებაში, რამეთუ მის გარეშე არ აღსრულდება საქართველოს თავისუფლებაც. ამიტომ ჩვენ ვალ-დებულნი ვართ განვაცხადოთ:

- უნდა შეწყდეს ქართველი ახალგაზრდების გაწვევა ოკუპანტთა ჯარებში!

- ქართველმა კაცმა უნდა თქვას უარი დამპყრობლის არმიაში სამსახურზე!

ამ დიდ წამოწყებაში ჩვენი ორგანიზაციები თავიდან ბოლომდე მხარში ამოუდგებიან ქართველ პატრიოტებს და ყველაფერს იღონებენ მათი წმიდათაწმიდა უფლებების დასაცავად.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი ამ დიდი საქმის აღსრულებაში!

გაუმარჯოს ერთიან, დამოუკიდებელ, ქრისტიანულ საქართველოს!

ზვიად გამსახურდია

მერაბ კოსტავა

ირაკლი წერეთელი

ირაკლი ბათიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წერილებიდან ციტირებული მასალები
/ორიგინალი დაცულია/

განვიხილოთ თუ რას ჩადიან ცივილიზებული ოფიცრები სსრკ საჯარისო ნაწილებში.

"სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამიწვიეს 1988 წლის 14.10; ჩვენ მშობლებს ეგონათ, რომ ნამდვილი ჯარში, დავაჟკაცდებოდით, მივიღებდით სამხედრო გამოცდილებებს, დავეუფლებოდით სამხედრო ტექნიკას, მაგრამ ისინი მწარედ ცდებიან. მათ არ იციან, რომ ქაიკანურზე სამსახური სულ სხვანაირია. აქ სალდათებს კი არ წვრთნიან და ასწავლიან, არამედ სცემენ მხეცურად. ის, რომ დაგავიწყდება ყოველივე კანონი და წესი. ვის ეტყვი, ვის შესჩივლებ შენს გასაჭირს???-სულ ერთია, მაინც ვერავინ გაგიგებს, იმიტომ, რომ ყველა ოფიცერი შეჩვეულია ასეთ ცხოვრებას.

ნუთუ ადამიანი მშვიდობიანობის დროს სიკვდილ-სიცოცხლის საფიქრებლად უნდა იყოს აქ???

/ჯბერია მ./

1988 წლის 1: იანვარს წამიყვანეს გაუპახტში/ლეიტენანტმა გალადნიკმა/. გამიყვანეს ტუალეტში და მცემეს ხელით, ფეხით, ავტომატის კონდახით, შემდეგ შემაგდეს კამერაში, დამაგდეს პოლზე ერთი შინელი, დაასველეს მთლად მთელი ოთახი წყლით და იმ ცივ ღამეში იანვრის თვეში სველ შინელზე გამათენებინეს. მეორე დღეს ჩამომკიდეს ყელზე და მცემეს ავტომატით, რეზინის დუბინკით მანამ სანამ აზროვნება არ დავკარგე. ამას ყველაფერს ხედავდნენ მორიგე ოფიცრები და არავინ არაფერს ამბობდა.

/დათო მ./

1989 წლის თებერვალში წამიყვანეს კომენდატურაში, მცემეს ისე, რომ ფეხზე სიარულის აღარ შემეძლო.

/კახა დ./

ამა წლის მაისში ვიყავი კომენდატურაში, ყველა შემეკითხებოდნენ რა ნაციებში ხართ, რომ ვუთხარი ქართველი დამიწყეს ცემა.

/ხასან ბ./

ლეიტენანტმა გრიგაჩოვმა მცემა და წამიყვანა კომენდატურაში. პალატებში პოლზე წყალი დაასხეს და ოთხმა კაცმა სველ პოლზე მაწოლა, შემოჰქონდათ ჯოხები და [illegible] მცემდნენ, როდესაც აზროვნებას დავკარგავდი, [illegible] წყალს გვასხამდნენ.

/ავთანდილ ხ./

ერთხელ ცემისაგან კამერაში წამივიდა გული და ორჯერ ტუალეტში, უნიტაზში მიპირებდნენ თავით ჩაყოფებას. რაც ძალი და ღონე მქონდა და ყველაფერს ვეწინააღმდეგებოდი.

/მამუკა მ./

"პირადად მე გავიკეთე ბრმანაწლავის ოპერაცია. არავითარი გამაყუჩებელი საშუალებებით არ უმოქმედებიათ, საოპერაციო მაგიდაზე გამიკოჭეს ხელები, ფეხები და დაიწყეს ოპერაციის გაკეთება. მე მოვითხოვე გამაყუჩებლების გაკეთება, ისინი კი მპასუხობდნენ, რომ ქართველებს სურთ დამოუკიდებლობა და თუ ვაჟკაცი ხარ ასეთ ოპერაციას გამაყუჩებლის გარეშე უნდა გაუძლო.

/გელა კ./

"მოგახსენებთ, რომ 67695 სნ სამხედრო ნაწილში ძალიან მძიმე მდგომარეობა. ოფიცრები რიგით ჯარისკაცებს ძალიან მძიმედ ექცევიან, აბუჩად იგდებენ, არაფრით კანონიერებას არ იცავენ".

/გიორგი ყ./

"კომენდატურიდან ვითხოვე გოსპიტალში გაყვანა, მითხრეს თუ მოიტან ორ წყვილ "ხებეს" და 50 მანეთს გაგიყვანთ თუ არადა აქ მოგკლავთო".

/კახა პ./

35 ეროვნული ბიბლიოთეკა

"პრაპორშჩიკმა იმის მაგივრად, რომ სალდათებისთვის დაეშალა, პირიქით თვითონ ასწავლა მათ თუ როგორ უნდა ეცემათ მათ მე.
ჩამომკიდეს "ლესტოჩკაზე", რომ არ მეყვირა პირზე ლეიკოპლასტირი და-მაკრეს, მაინც ვიწვალე ჩამოკიდებული, სანამ 100 მანეთის სათხოვნელად ქარ-თველებთან წერილი არ გავაგზავნე, რომ ჩამომხსნეს ზურგზე აგურები დამალაგეს და ზედ ფეხებით ხტუნაობდნენ. ნაცემი ყველა ოფიცერმა და თვით პოლკოვნიკმა მიხაილიჩენკომ მცემა".

/ალექსი მ./

"ნაწილში ყოფნის დროს ქართველებს ძალიან ცუდად გვეპყრობიან! პრაპორში-კიდან დაწყებული "კამბატამდე" ქართველებს ყველა გვლანძღავს, გვცემენ და გვაბარებენ კომენდატურას 3-4 დღით.
კომენდატურაში გვცემენ. როდესაც შევატყობინეთ, რომ ფეხზე დგომა აღარ შეგვეძლო, ჩამოგვკიდებენ თოკებზე თხუთმეტიოდე წუთით, ორი კაცი დაგვადგება ზურგზე და ქაშაობენ. უფროსები რომ გაიგებენ ქართველის სიკვდილს, ყველა ქართველი ასე მოკვდებით, ცოცხალი ვერ წახვალთ აქედანო-ამბობენ!".

/გოჩა ნ./

"წაგვიყვანენ კომენდატურაში, გვიმწარებენ ცხოვრებას, ცემით ქართველს და უნდა ველოდოთ ან დასახიჩრებას ან სიკვდილს".

/ზურაბ მ./

"ჯერ არ ვხვდები კომენდატურაში და ისე გვლახავენ, ხოლო რომ მოხვდები ალბათ გამოასვენებენ იქიდან.
მკითხველს რომ გაზვიადებული არ ეჩვენოს ეს სიტყვები, ყოველმხრივი-სათვის ვაცნობებთ, რომ სამი წ-ის განმავლობაში კიზილ-ორდას ოლქის ქალაქ ლენინსკი გარნიზონში საქართველოში გაწვეულ ჯარისკაცთაგან დაიღუპა 9, მათ შორის მიმდინარე წლის განმავლობაში, კერძოდ 9 აპრილის შემდეგ ზემოთ აღ-ნიშნულ ადგილზე კომენდატურაში მხეცური ცემით და წამებით მოკლულ იქნა 3 ქართველი ჯარისკაცი.
ამ ფაქტების გამო იქ ჩავიდა საქართველოდან კომისია. აი რას წერენ კო-მისიის წამოსვლის შემდეგ "აქ ჩამოვიდა საქართველოდან კომისია, დაწვრილე-ბით ავუხსენით და დავუმტკიცეთ მომხდარი ამბები. გვპირდებიან, რომ ამის შემ-დეგ ასეთი ამბები აღარ განმეორდება, მაგრამ როგორც კი კომისია წავიდა, უარესად დაგვიწყეს წვალება. ოფიცრები ქართველებს "სუკა" მაწანწალებს გვიწოდებენ და კიდევ უარესად გვეპყრობიან, ისევ იგივე მეორდება რაც ხდებო-და!"

ციტატები მოამზადა კობა ლესამანანელმა და დაინტერესებულ პირებს გააცნობს ორიგინალის მთლიან ტექსტებს.

საქართველოს სამხედრო კომისარიატს

ახსნა-განმარტებითი ბარათი

გაცნობებთ, რომ სამხედრო სამსახურს გავდივარ ყაზახეთის საბჭოთა სო-ციალისტურ რესპუბლიკაში, ქალაქ ლენინსკში. მოსამსახურე ქართველების სამსახურ-ში ზემოთ აღნიშნულ ადგილზე, 9 აპრილის შემდეგ ძალიან გაუარესდა. ქართველი ერი განიცდის ფიზიკურ და მორალურ შეურაცხყოფას მოსამსახურე ოფიცრებისა და კომენ-დატურის მხრივ.
9 აპრილის შემდეგ ზემოთ აღნიშნულ ადგილზე კომენდატურაში მოკლული იქნა სამი ქართველი ჯარისკაცი ცემით. ეს ელის ყველა აქ მოსამსახურე ქართველს. რო-მელიმე ქართველი თუ დაიჭირეს კომენდატურაში დაუნდობლად სცემენ, სანამ იმ დონემდე სანამ გონებას არ დაკარგავენ, შემდეგ კი გონება დაკარგულს თავს ჩაა-ყოფინებენ ტუალეტის უნიტაზში. ართმევენ ფულს. დღეში 100 მანეთი თუ გადაიხა-დე, ისე სადისტურად აღარ გვეპყრობიან. თვითონ ოფიცრებიც გვცემენ და გვაგი-ნებენ სიტყვიერ შეურაცხყოფას შემდეგი სიტყვებით: "ნე ნავიჟუ სვოლოჩ გრუზინსკაია" და კიდევ "მალო ვამ ბილო 9 აპრელია, მოჟემ ნადა უბივატ". ზემოთ აღნიშნული მომხდარი ამბის შესახებ ვაცნობეთ ზემდგომ ორგანოებს. იქ ჩამოვიდა საქართვე-

ლიან კომისია,შევიკრიბეთ ყველა იქ მომსახურე ქართველი ჯარისკაცი და დე-
ჟურილებით ავუხსენით და დავუმტკიცეთ იქ მომხდარი ამბები.ადგილობრივი ხელ-
მძღვ ორგანოები შეგვპირდნენ,რომ ამის შემდეგ ისეთი ამბები იქ აღარ განმეორ-
დება. მაგრამ როგორც კი საქართველოს კომისია წამოვიდა უფრო უარესად დაგვიწ-
ყეს შევიწროება.რადგანაც ყველაფერი სიმართლე ვუთხარით დავამტკიცეთ, ამის
შემდეგ იქ მომსახურე ოფიცრები ქართველებს მაშენტრენებს/"სტუკაჩ" გვიწოდებ-
ენენ და კიდევ უარესად გვეპყრობოდნენ,ისევე იგივე მეორდება,რაც ხდებოდა.
ზემო აღნიშნული ადგილიდან საქართველოში ჩამოვედით 13 ჯარისკაცი/ქართვე-
ლები/, რათა გვეცნობებინა საქართველოს მთავრობისათვის იქ მომხდარი ამბები.
მოვითხოვთ იქ მომსახურე ყველა ქართველი ჯარისკაცის სახელით,რომ მიღებუ-
ლი იქნას ზომები და გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

ხელს აწერს 13 ჯარისკაცი.

საქ.რესპუბლიკის სამხედრო კომისარს
ამხ. ვ.ლ.შარაშენიძეს

მოგმართავთ თქვენ! ჩვენი რესპუბლიკის მრავალათასიანი ყველა ქართველი
დედის სახელით, ვისი შვილებიც გადიან სავალდებულო სამხედრო სამსახურს კავ-
შირში და კავშირის ფარგლებს გარეთ.
9 აპრილს ჩვენს დედაქალაქში დატრიალებულმა ტრაგედიამ შეძრა ყველა ქარ-
თველის დედის გული,რადგანაც ჩვენ მასში თვალნათლივ დავინახეთ არა დემონ-
სტრანტთა დარბევის აქცია,არამედ საზიზღარი ზიზღი მთლიანად ქართველი ერისადმი
და მისი მოსპობის სურვილი.
ყოველივე ამის შემდეგ,რაც ჩვენს ახალგაზრდობას თავს დაატყდა ასე საქ-
ვეყნოდ, ამოხოცეს ისინი თავისავე ქალაქში სიმღერისა და ცეკვის დროს, ჩვენ
არა ვართ დარწმუნებული,რომ არმიაში ქართველი ბიჭების სიცოცხლეს საფრთხე არ
ემუქრება და ისინი იქნებიან დაცულები ძალადობისაგან და დამცირებისაგან.
ჩვენ არავითარი სურვილი არა გვაქვს,რომ ჩვენმა შვილებმა იმსახურონ იმ
არმიაში,სადაც საკუთარი დედებისა და დების ხოცვაში წვრთნიან და ბრძანების
შეუსრულებლობისათვის ადგილზე უსწორდებიან მათ. ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით
და მხარს ვუჭერთ გაზეთ თბილისის 13 აპრილის ნომერში მოთავსებულ წერილ-ქარ-
თველ დედათა მოთხოვნას.
მოვითხოვთ,რომ ჩვენი შვილები დაუყოვნებლივ დაუბრუნდნენ თავის რესპუბლიკას
რათა დარჩენილი სავალდებულო სამხედრო სამსახური მათ მოიხადონ საქართველოში.

საბჭოთა არმიაში გამეფებული გაუკითხავი თვითნებობისა
და ველიკორუსული შოვინიზმით მოწამლული ტოტალიტარული
ზიზღის მსხვერპლნი

ოფიციალური ვერსიები ჯარისკაცების სიკვდილის შესახებ მეტად საეჭვოა.
ოფიციალური დასკვნები: გული გაუჩერდა, ღვიძლმა უმტყუნა, თავში სისხლი
ჩაექცა და ა.შ. მაგრამ ჩვენ ვიცით,რომ ნამდვილი მიზეზი მათი სიკვდილისა
მხეცური ცემა და წამებაა. ამ ვერსიას გამოთქვამენ დაღუპულთა მშობლებიც.
ეჭვს იწვევს აგრეთვე,ვითომ უბედური შემთხვევით დაღუპული ჯარისკაცების სიკ-
ვდილი. ასეთ შემთხვევაში მშობლებმა დაღუპულ ჯარისკაცთა სხეულზე წამების
ნიშნები აღმოაჩინეს, მიუხედავად საპირისპირო ოფიციალური დიაგნოზისა.
ქვემოთ მოცემული მონაცემები ჩვენგან აღებულია საქართველოს სსრ კომისა-
რიატის მთავარ სამმართველოში.
ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ოფიციალური ვერსიების შემოწმებაზე.და-
ღუპულთა მშობლებისაგან ვიღებთ ჩვენებებს განცხადების ფორმით.

წმინდა ილია მართლის საზოგადოების
სამხედრო საქმეთა კომისია.
5 ოქტომბერი 1989 წელი.

7
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს ი ა

## იმ სამხედრო მოსამსახურეებისა, რომლებიც დაიღუპნენ სამხედრო სავალდებულო სამსახურის დროს 1989 წელს

| | |
|---|---|
| 1. ხარაბაძე მამუკა ვლადიმერის ძე | 1989 წლის 05 თვე. სამსახურის დროს მორიგეობის დროს დახვრიტა თანამოსამსახურემ |
| 2. გოგავა გიორგი | 1989 წლის 03 თვე. გარდაიცვალა ფილტვების დაავადებით. |
| 3. ცინცაძე გელა იუზას ძე | 1989 წლის 06 თვე. დაიხრჩო ბანაობის დროს |
| 4. მიქაელიანი სამველ სერგოს ძე | 1989 წლის 06 თვე. დაიღუპა ბენზინის ორთქლისაგან. იპოვეს ცისტერნაში |
| 5. ამირიანი კარიმ მიროს ძე | 1989 წლის II თვე. დაიღუპა თვითმკვლელობით (თავი ჩამოიხრჩო) |
| 6. ფიფია | 1989 წლის 06 თვე. დაიღუპა შემთხვევითი გასროლის შედეგ საყარაულოზე |
| 7. მოშიაშვილი გენადი გაეზის ძე | გაგუდა რიგითმა კ.გ. სარსენოვმა. არის ყაზახი. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე |
| 8. ხელაშვილი ბონდო ზაზას ძე | 1989 წლის 03 თვე. გარდაიცვალა დიფტერიით |
| 9. კაპანაძე ზაზა ოლეგის ძე | 1989 წლის 06 თვე. ავტოკატასტროფაში დაიღუპა |
| 10. ღილაძე რომან დიმიტრის ძე | 1988 წლის 5 თვე. გარდაიცვალა გულის უკმარისობისაგან. |
| 11. სიძონიანი გელა არტავაზის ძე | 1989 წლის 2 თვე. გარდაიცვალა დიფტერიისაგან |
| 12. სამუშია ჯონი გიგლას ძე | 1989 წლის 3 თვე. გარდაიცვალა დიფტერიისაგან |

ეროვნული ბიბლიოთეკა

8



13. ხარაზიშვილი
ავთანდილ მიხეილის ძე — 1989 წლის 6 თვე. დაამთავრა სიცოცხლე თვითმკვლელობით (თავი ჩამოიხრჩო)

14. ზეიქრიშვილი
ოლეგ გურამის ძე — 1989 წლის 5 თვე. გარდაიცვალა თავის ტვინის სიმსივნისაგან

15. ნაფარაშვილი
დავით შოთას ძე — 1989 წლის 06 თვე. გარდაიცვალა ფილტვების ტოპალური ანთებით ოლქის სამხედრო ჰოსპიტალში

16. ჯანიაშვილი
ალექსი სიმონის ძე — 1989 წლის 6 თვე. გარდაიცვალა თირკმლების უკმარისობით, ზობრო (არ ითარგმნება) მიწ-ფოტიური მდგომარეობა

17. ჩანჩიბაძე
ტარიელ გენადის ძე — 1989 წლის 6 თვე. გარდაიცვალა ტვინში სისლის ჩაქცევით

18. წულეისკირი
ემზარ ანზორის ძე — 1989 წლის 01 თვე. დაიღუპა ავტოკატასტროფაში

19. კოზლოვი
ვიაჩესლავ იურის ძე — 1989 წლის 01 თვე. გარდაიცვალა ღვიძლის ცეროზისაგან

20. კირთავა
რევაზ რაჟდენის ძე — 1989 წლის 01 თვე. დაიღუპა რკინიგზის კატასტროფაში

21. ბუხნიკაშვილი
ნოდარ ოთარის ძე — 1989 წლის 04 თვე. დაიღუპა წყალქვეშა ნავზე

22. ჩიკვაიძე
გიზო დავითის ძე — 1989 წლის 02 თვე. იყო გამანაწილებელ ყარაულის გამოცვლის დროს გაუგებრობის გამო

23. მოისეევი
ალექსი თევდორეს ძე — 1989 წლის 01 თვე. დაამთავრა სიცოცხლე თვითმკვლელობით.

24. მელაძე
რევაზ ნურის ძე — 1989 წლის 01 თვე. დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს (უამრავი ჭრილობა ტყვიით, დაცხრილა თანამებრძოლმა ჯარისკაცმა)

ეროვნული
ბიბლიოთეკა
9



| | | |
|---|---|---|
| 25. | ფუტკარიძე<br>ელდარ მუჰამედის ძე | 1989 წლის 04 თვე. გასრისა ტანკმა |
| 26. | მახაცაძე<br>ჯუმბერ ევსერის ძე | 1989 წლის 04 თვე. დაიღუპა, გაიტანა ავტო-მობილმა |
| 27. | ალიევი<br>ნიზამ საიათოღლი | 1969 წლის 02 გაიტანა ავტომობილმა |
| 28. | ისმაილოვ<br>თოფიკ მაგომედოღლი | 1989 წლის 03 თვე. გაიტანა მანქანამ |
| 29. | გულაძე<br>გენადი როსტომის ძე | 1989 წლის 06 თვე. დაიხრჩო ბანაობისას. თანამშრომელი, ვისთანაც ერთად ბანაობდა, დაპატიმრებულია. მიმდინარეობს გამოძიება |
| 30. | გაფრინდაშვილი<br>ბელა | 1989 წლის 05 თვე. დაიხრჩო მდინარეში |
| 31. | ბოლოთაევი<br>ნიკიფორე მუხტარის ძე | 1989 წლის 05 თვე. მანქანის ქვეშ მოყვა |
| 32. | ბაშკიროვი<br>იური დიომიდეს ძე | 1989 წლის 06 თვე. მოკვდა თავის ტვინის სიმსივნისაგან |
| 33. | ნამაზოვი<br>ნამაზ მამედოღლი | 1939 წლის 03 თვე. გარდაიცვალა ავადმყოფო-ბით |
| 34. | ალახვერდიევი | 1989 წლის 01 თვე. დაიღუპა ავტოკატასტრო-ფაში |
| 35. | ყურბანოვი<br>ტახირ ამირ-ასლან-ოღლი | 1999 წლის 07 თვე. დაიღუპა სასროლეთზე გაუფრთხილებლობის გამო, არ მოერიდა ტყვიის ჯერს დადიოდა სახიფათო ზონაში |
| 36. | მუსაევი ფახრადინი<br>რაშიდის ძე | 1989 წლის 03 თვე. ეპიდურალური გემატომა |
| 37. | ართმელაძე<br>რუბენ ჯემალის ძე | 1989 წლის 07 თვე. გარდაიცვალა ჰაუპვახტში ცემის შედეგად |
| 38. | ღუნდუა<br>ვასილი ზაურის ძე | მიზეზი უცნობია |
| 39. | გაფრინდაშვილი<br>ბელა ლაშქოს ძე | თავი ჩამოიხრჩო |

ეროვნული
ბიბლიოთეკა



| | |
|---|---|
| 40. კაპანაძე | |
| ნუგზარ მიხეილის ძე | თავი ჩამოიხრჩო |
| 41. გოგრიჭიანი | |
| ჯემალ ჟორას ძე | დაიხრჩო მდინარეში |
| 42. ბარამიშვილი | |
| კახაბერი ვახტანგის ძე | 1989 წლის 20.07 თვე. დაიხრჩო მდინარეში |
| 43. ალიკაშვილი | |
| რამაზ ანზორის ძე | 1989 წლის 10.08 თვე დაიღუპა ავტოკატასტროფაში |
| 44. ჩაპანაძე | |
| ხვიჩა ინდიკოს ძე | 1989 წლის 19.08 თვე. თავი ჩამოიხრჩო |
| 45. პოპოვი | ნახშირბადოვანი გაზით მოწამვლა |
| 46. ხეირხაბაროვი | |
| მუსტაფა მაჰმუდ-ოღლი | 1989 წლის 16.08 თვე. დაიწვა. მიიღო 50%-იანი დამწვრობა |
| 47. კიპირაძე | |
| ილია გივის ძე | მოკვდა ბანაობის დროს |
| 48. შაპოშნიკოვი | |
| ალექსანდრე სემიონის ძე | მანქანამ გაჭყლიტა |
| 49. თოდუა | |
| ბადრი ვალოდიას ძე | მოკვდა დანით მიღებული ჭრილობით. |
| 50. ქანთარია | |
| გელა ვლადიმერის ძე | 1989 წლის 29.08 თვე. სისხლის გათეთრებით |
| 51. ტყებუჩავა | საავტომობილო კატასტროფა |
| 52. ალავერდოვი | |
| არტურ სერგის ძე | თავი ჩამოიხრჩო |
| 53. საქიძე | |
| პაველ ვლადიმერის ძე | საბრძოლო სროლების დროს. |

წმინდა ილიას მართლის საზოგადოება და დამოუკიდებლობის პარტია მოწიწებით თავს ხრის უდანაშაულოდ დაღუპულ თანამემამულეთა წინაშე, რომლებიც გახდნენ "ველიკორუსული" შოვინიზმისა და სამხედროში გამეფებული განუკითხავი თვითნებობის მსხვერპლნი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



1989 წლის ივლისში ჩოხატაურის რსკ-დან 1988 წ.სამხ.სავალდ.სამსა-
ხურის გასავლელად გაწვეული ართმელიძე რუბენ ჯემალის ძე/დაბ. 1969 წ./
მოკლული იქნა ყაზახეთში მხეცური ცემისა და წამების შედეგად.

ს/ნ 49 631 ქ. ლენინსკი.